განკარგულება:**გ-17. 17250243**
თარიღი:**24/01/2025**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 132-ე მუხლის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაკა მანჯავიძის ანგარიში - 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცხობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2024 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

ქ. ბორჯომი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით შექმნილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის წესი განსაზღვრულია „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N53 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N54 დადგენილებებით. კომისია შედგება 12 წევრისაგან.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიამ გასული 2024 წლის საანგარიშო პერიოდში გაწია შესაბამისი სამუშაოები. ამ პერიოდში ჩატარდა 14 სხდომა (1 გასვლითი სხდომა), სადაც გატანილი და განხილული იქნა 42 საკითხი, სხდომაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა კომისიის სხდომის ოქმებით.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შემუშავებულია სამი დასკვნა, კერძოდ:

- 2024 წლის 23 აპრილს - „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტთან დაკავშირებით;
- 2024 წლის 5 ივლისს - საკრებულოს წევრის - საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა - გამოჩენილი ქართველი მსახიობის ტრისტან სარალიძის საცხოვრებელი სახლის (64.21.02.528) მიმდებარე ქუჩისათვის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით;
- 2024 წლის 24 სექტემბერს გამართულ სხდომებზე - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში - დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის (ქუჩა, ჩიხი) სახელდების მოწონების შესახებ;

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიიერ მომზადდა რეკომენდაცია:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 თებერვლის N16-162404736 წერილით წარმოდგენილი „ბორჯომის მუნიციპლიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების საშუალოვადიანი დოკუმენტების (2023- 2030) დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის N გ-17. 17231164 განკარგულებაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მაისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტთან დაკავშირებით;

- „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2025 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით;

რეკომენდაციები გადაგზავნილი იქნა ბორჯომის მუნიციპალტეტის მერიაში შემდგომი რეაგირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კომისიის ინიციატივით ცვლილება განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტში, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილებაში.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის 2024 წელს №250693, №252666, №256553 და №256553 წერილების გათვალისწინებით კომისიის მიერ განხორციელდა დაბა ბაკურიანში მდებარე აკაკი წერეთლის, მერაბ კოსტავას, 9 აპრილის, გოგი ცაბაძის და ცხრა წყაროს ქუჩის ნაწილის სახელწოდების ცვლილება, ასევე „დაბა ბაკურიანში მდებარე ზოგიერთი ქუჩის სახელწოდების ცვლილებისა და უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისათვის (ჩიხი, შესახვევი) სახელწოდების მინიჭების მოწონების შესახებ“ განკარგულებების პროექტების მომზადება;

კომისიამ იმსჯელა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 19 ნოემბრის N16-1624324116 წერილით წარმოდგენილი ქ. ბორჯომის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტთან დაკავშირებით. დოკუმენტის თანახმად, საკვლევი არეალი მოიცავს ქალაქ ბორჯომის და ახლომდებარე სოფლების დასახლებულ პუნქტებს და მიმდებარე ტყიან მასივებს. წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, როგორც განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების განსაზღვრა, ასევე ტურიზმისა და ტრანსპორტის სექტორის განვითარება. დოკუმენტი მიზნად ისახავს ქალაქ ბორჯომის საკურორტო იდენტობის გაძლიერებას, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: საკურორტო რესურსების ოპტიმიზაციას; იერსახის გაუმჯობესებას; დივერსიფიცირებული სამუშაო გარემოს ხელშეწყობას; საქალაქო ცხოვრების დონის ამაღლებასა და უსაფრთხოებისა და მედეგობის გაზრდას.

სსიპ სიცრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს წარმომადგენლემბა მოინიშნეს ის ძირითადი საკითხები, რომლებიც შენიშვნის სახით ზეპირი ფორმით იქნა წარდგენილი ზემოაღნიშნული სააგენტოს მიერ დაორგანიზებულ შეხვედრაზე, კერძოდ:

კომისიის ინიციატივით შემუშავდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ - განკარგულების პროექტი;

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განახორციელა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბაკურიანის განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ ბორჯომის

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიერ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი დადგენილებების, ასევე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტების შესწავლა და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 137-ე მუხლის თანახმად სამართლებრივი ექსპერტიზისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაგზავნა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემდგომ იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილებების პროექტები საკრებულოს სხდომაზე განსახილველად რაზედაც მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ვებგვერდზე, კერძოდ:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ-დადგენილების პროექტი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2024 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მაისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტი;

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2025 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2025 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი;

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ინიციატივით მომზადებული და სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაგზავნილი დადგენილებები მიღებულია საკრებულოს სხდომაზე და გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე.

კომპეტენციის ფარგლებში განხილული იქნა საკრებულოში შემოსული წერილები და განცხადებები. კომისიასთან შეთანხმებით მომზადდა, როგორც პასუხები, ასევე წერილები სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნად.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მაკა მანჯავიძე